საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობასა და
ირლანდიის მთავრობას შორის

შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან
აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის
აღკვეთის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით

საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების, მათ შორის ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს "შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმებების გაფორმება ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები. ეს შეთანხმება არეგულირებს ხელშემკვრელი ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის პირობებს.

ქვეყნებთან აღნიშნული შეთანხმების გაფორმებისათვის საქართველოს ამჟამინდელ პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ირლანდიაც.

შეთანხმების მიზანია საქართველოსა და ირლანდიას შორის ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება. იგი წარმოადგენს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვან ელემენტს, რაც ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვას.

წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის ტექსტი ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) ზოგად მოდელს. OECD-ს მოდელის შესაბამისად შეთანხმებით გათვალისწინებულია შემოსავლების დაბეგვრა ან შემოსავლის წყაროს ქვეყანაში, გარკვეული შეზღუდვებით ან შეზღუდვების გარეშე, ან მხოლოდ რეზიდენტობის ქვეყანაში. შემოსავლის წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის შემთხვევაში რეზიდენტის ქვეყანა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით იღებს ვალდებულებას რეზიდენტის ქვეყნის საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ბაზის გაანგარიშების დროს მოახდინოს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადის გათვალისწინება (გამოქვითვა).

შეთანხმების დებულებებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი:

1. მე-4 მუხლით (რეზიდენტი) განსაზღვრულია ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების რეზიდენტობის ქვეყნის დადგენა.

2. მე-5 მუხლის (მუდმივი დაწესებულება) მე-3 პუნქტის მიხედვით, სამშენებლო მოედანი ან სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი მუდმივ დაწესებულებად ითვლება მისი დაარსებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. ობიექტის მუდმივ დაწესებულებად ჩათვლის პერიოდის განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ის პირდაპირი გადასახადებით არ დაიბეგრება. (OECD)-ს ზოგადი მოდელით შემოთავაზებულია 12 თვიანი პერიოდი, ხოლო წარმოდგენილ პროექტში შეთანხმებულია ექვს თვიანი პერიოდი. ამ შემთხვევაში პროექტი ეწინააღმდეგება ზოგად მოდელს. უცხოური სამშენებლო კომპანიებისათვის ეს არის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათი. საქართველოს მხარე ცდილობს შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობა იყოს რაც შეიძლება მოკლე (მოლაპარაკებებიდან გამომდინარე შესაძლებლობის ფარგლებში), რათა კონკურენციის თვალსაზრისით არ დააზარალოს საქართველოს სამშენებლო სფეროს ჯერ კიდევ ნაკლებადკონკურენტული კომპანიები.

3. მე-6 მუხლის შესაბამისად ხდება უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის რეგულირება.

4. მე-7 მუხლი არეგულირებს საწარმოს მოგების დაბეგვრას. განსაზღვრულია, რომ თუ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო ახორციელებს თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ მისი მოგება დაიბეგრება ამ მეორე სახელმწიფოში (შემოსავლის წყაროსთან), მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

5. მე-8 მუხლის (საერთაშორისო გადაზიდვები) თანახმად, საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატაციიდან მიღებული მოგება დაიბეგრება საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილის მიხედვით.

6. მე-10 მუხლი (დივიდენდი) ფორმულირებულია ისეთი სახით, რომ ის ორივე მხარისათვის შეიძლება ჩაითვალოს რეალურ წამახალისებელ პირობად. ამ მიზნით, ირლანდიის მხარეს ვთავაზობთ დივიდენდის დაბეგვრას დიფერენცირებული განაკვეთებით:

- მსხვილი ინვესტიცია, კერძოდ, 2 მლნ ევროზე (ან მის ექვივალენტზე ადგილობრივ ვალუტაში) მეტი, თუ ამავე დროს დივიდენდის მიმღები კომპანია ფლობს დივიდენდის გადამხდელი კომპანიის კაპიტალის 50 პროცენტზე მეტს, დაიბეგრება 0 პროცენტით.

- თუ დივიდენდების ფაქტობრივ მფლობელ კომპანიას, რომელიც ფლობს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალის სულ მცირე 10 პროცენტს, დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალში ინვესტირებული აქვს 100000 ევროზე მეტი (ან მისი ექვივალენტი

ადგილობრივ ვალუტაში) იგი დაიბეგრება დივიდენდების მთლიანი თანხის 5 პროცენტით;

- ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი დაბეგვრა მოხდება დივიდენდების მთლიანი თანხის 10 პროცენტით.

7. უძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები დაიბეგრება ქვეყანაში, რომელშიც განთავსებულია ეს უძრავი ქონება, ანუ შემოსავლის მიღების წყაროს ქვეყანაში (მე-13 მუხლი).

9. დაქირავებით მომუშავეების (მე-14 მუხლი), ასევე სპორტსმენებისა და ხელოვნების მუშაკების (მე-16 მუხლი) მიერ მიღებული შემოსავლები იბეგრება ანაზღაურების წყაროს ქვეყანაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ეს შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს რეზიდენტობის მიხედვითაც.

10. სტუდენტები (მუხლი 19), პროფესორები, მასწავლებელები და მეცნიერ-მუშაკები (მუხლი 20), რომლებიც განათლების მისაღებად ან სამუშაოდ იმყოფებიან მეორე სახელმწიფოში თავისუფლდებიან ამ ქვეყნის გადასახადებისაგან, თუ მათი დაფინანსების წყარო მდებარეობს ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

11. 22-ე მუხლით რეგულირდება რეზიდენტის ქვეყანაში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების პრაქტიკული პროცედურული საკითხები.

შეთანხმება, ზოგიერთ შემთხვევაში, ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმების დაწესებას. თუმცა, პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 6) შეთანხმებას მიენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო აქტებთან მიმართებაში. საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატეს იურიდიულ ძალას აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსიც (მუხლი 2, პუნქტი 7).

შეთანხმების გაფორმება არ გამოიწვევს საქართველოსთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღებას და საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თვლის, რომ "საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების პროექტი შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს, მასში გათვალისწინებულია ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გაფორმება.